ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 153

სამშაბათი, 20 ივლისი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

№ 153

სამშაბათი, 20 ივლისი, 1899 წ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

ჯერმოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამ. აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—75—17)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი 7½—8 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

## მთავრობის განკარგულებანი.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან, თავისისავე თხოვნის თანახმად, ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველის თანაშემწე სტატსკი სოვეტნ. ხოჯაშვილი მუნდირით.

## ახალი ამბავი

*** 18 ივლისს, ახლად დაბადებულის მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრინის მარია ნიკოლოოზის ასულის მონათვლის გამო გორის ეპისკოპოსმა ყოვლადსამღვდელო ლეონიდემ სიონის ტაძარში წირვა გარდაიხადა ბერ-მონაზონთა და ტაძრის სამღვდელოების თანამწირველობით; წირვის შემდეგ-კი გარდახდილ იქმნა პარაკლისი ალავერდის ეპისკოპოსის ყოვლადსამღვდელო კირიონის თანამწირველობით.

*** გორის ეპისკოპოსმა ყოვლადუსამღვდელოესმა ლეონიდემ შესწირა ქართულ საეკკლესიო მუზეუმს ასი მან. იოანე ნათლისმცემლისა და დავით გარეჯელის მონასტრების თანხიდგან.

*** ტფილისის გუბერნიის საერო დარაჯთა ინსპექტორი პოლკ. თავ. ნ. ს. ჩოლოყაშვილი დანიშნულია ახალ თანამდებობაზედ.

*** ტფილისის გუბერნატორი პოლ. ი. ნ. სვეჩინი და გუბერნიის მკურნალი ტ. ს. ქიქოძე გაემგზავრნენ ტფილისიდგან ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების დასათვალიერებლად.

*** 17 ივლისს, ტფილისის გუბერნატორმა ი. ნ. სვეჩინმა, გუბერნიის ტეხნიკოსმა, ქალაქის მოურავის მოადგილემ შესტაკოვმა, გამგეობის წევრთ თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა და თავ. ჩერქეზიშვილმა, ქალაქის ინჟინერის თანამდებობის აღმ. მუხარინსკიმ ს. ავჭალაში წყლის მილები დაათვალიერეს.

*** მისაღები, დამატებითი და განმეორებითი ეგზამენები ტფილისის საეპარქიო საქალებო სასწავლებელში დაიწყება 25 აგვისტოდგან, ხოლო ტფილისის სასულიერო სემინარიასა და სასულიერო სასწავლებელში—იმავე თვის 17-იდგან.

*** საქართველოს ექსარხოსის განკარგულებით ტფილისის საეპარქიო საქალებო სასწავლებელთან ამ წლის სექტემბრიდგან დაარსდება სამაგალითო ერთკლასიანი სამრევლო სკოლა.

*** ქალაქის გამგეობაში ლაპარაკი აღიძრა საბჭოს მკურნალთათვის სასანიტარო ზედამხედველობის წესების შემუშავების შესახებ.

*** სამეურნეო იარაღთა საწყობის აშენება უკვე დამთავრდა და სამეურნეო საზოგადოებას განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში გახსნას ეს საწყობი.

*** ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, რომ წელს ამიერ-კავკასიაში ბამბის მოსავალი, ცუდის ამინდებისა და მუშა-ხელის სიმცირის გამო, საზოგადოდ ნაკლებია. ქუთაისის გუბერნიაში ბამბის ყანების სივრცემ წელს შესამჩნევად იმატა, რადგან სიმინდის ფასი მეტად დაეცა.

*** როგორც სამრთო დეპარტამენტის უკანასკნელ ანგარიშიდგან სჩანს, 1897 წ. კავკასიაში ყოფილა 13 სპილენძის ჩამოსასხმელი ქარხანა, რომელთაგან ჰმოქმედებდა 11. ვერცხლისა და ტყვიის მადანი ყოფილა 10: ოთხი—ქუთაისის გუბერნიაში, დანარჩენები-კი—ყუბანისა და თერგის ოლქებში. რკინის მადანი ჰმოქმედებდა ორგან, (განჯის მაზრაში,) შავი ქვა ქუთაისის გუბერნიაში უწარმოებიათ 12,192,857 ფუთამდე. ქვანახშირის მადანი ყოფილა 5, საიდაც ამოუთხრიათ 1.320,853 ფუთი ქვანახშირი. გარდა ამისა, ტყიბულის ბრიკეტის ქარხანაში მოუმზადებიათ 207,882 ფუთი ბრიკეტი.

*** მუშაობა ბორჯომსა და ბაკურიანს შუა რკინის გზის გასაყვანად სწრაფად სწარმოებს. გზათა სამინისტროს ახალის გეგმით შეცვლილია გზის მიმართულება წაღვერიდგან ბაკურიანამდე იმ განზრახვით, რომ საჭირო აღარ შეიქმნას გვირაბის გათხრა.

*** რკინის გზის ბუფეტებში სასმელ-საჭმლის გასაუმჯობესებლად განზრახვა აქვთ დააწესონ ბუფეტებზედ სასტიკი ზედამხედველობა, რომელიც მიენდობათ მკურნალთ, სადგურების უფროსთ და მოძრაობის რევიზორთ. ამას გარდა, როგორც ისმის, გადაწყვეტილია შემოღებულ იქმნას ბუფეტებში განსაკუთრებული წიგნები მგზავრთაგან საჩივრის ჩასაწერად.

*** როგორც ისმის, განზრახვა აქვთ დააარსონ კავკასიაში განსაკუთრებული საპროფესიო (სახელობო) სკოლები, რომლებშიაც ასწავლიან მეურნეობას, პირუტყვის მოშენებას, გზისა და აშენების საქმეს.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროში, ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გადაკეთებულ იქმნას ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამკურნალო ნა-

## ფელეტონი

### ჩვენი მოღვაწეობა.

„ციხე შიგნიდგან გატეხილი“

ქუთაისის წრევანდელი არჩევანები დასრულდა—და დასრულდა ოპოზიციის დამარცხებით.

არასოდეს ოპოზიციას ამისთანა გაცხარებული ბრძოლა არა ჰქონია, და თუ ომი მაინც წააგო, უმთავრესი დანაშაული იმათ მიუძლვით, რომელნიც სიტყვით წმინდა ზნეობასა და ხალხის კეთილდღეობას გვიქადაგებენ და საქმით-კი რას არ გინდა სჩადიან, ბოროტების გამარჯვებას ხელს უწყობენ.

ცხადად გამოირკვა როგორც ჩვენს მწერლობაში, ისე ქუთაისის ბანკის წარმომადგენელთა კრებაშიც, რომ ამ ბანკის გამგეობას არავითარი საქმე არ გაუკეთებია და მით მრავალი ნივთიერი ზარალი მიუცია საზოგადოებისათვის. ამიტომაც ამ საგანს აღარ დავუბრუნდები; დღეს მხოლოდ მინდა მკითხველთა ყურადღება მეორე უდიდესს მხარეს მივაქციო—ზნეობრივ მხარეს.

რა აზრი ჰქონდა ამ შემთხვევაში გამგეობის წევრთა ბრძოლას?—მათი ერთად-ერთი აზრი იყო თავისის ტყავის დაცვა, თავისის ჯიბის ინტერესი. ვინც კრებას დაესწრო, გამგეობის თავის მართლებაში ყველანი ცხადად ამოიკითხავდნენ შემდეგს აზრს: მართალია—ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია, მაგრამ მაინც გვინდა ჩვენს ადგილებზედვე დავრჩეთო!. „გამგეობის მომხრეთა შორისაც ყოველთვის ამას აღიარებდნენ, კრებაშიც და კრების გარეშეც: რამდენიც უნდა ილაპარაკოთ, რამდენიც უნდა გვიმტკიცოთ ჩვენის კანდიდატების უვარგისობა, ჩვენ მაინც ჩვენსას ვიზამთო! კი ვხედავთ, რომ ჩვენს კანდიდატს არაფერი გაუკეთებია, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი კანდიდატი გვინდაო!“ და სხ.-და-სხ.

მერე ვისგან შესდგებოდნენ გამგეობის მომხრეები?—ისინი შესდგებოდნენ სამგვარის დასისაგან: 1) გამგეობის წევრთა ძმებისა და ნათლიმამებისაგან; 2) იმისთანა მსესხებელთაგან, რომელთაც თავისი მამულები დაუგირავებიათ, დიდძალი სესხი გაუტანიათ, შემდეგ ეს მამულები ბანკისთვის შეუტოვებიათ, მაგრამ გამგეობის წევრთა წყალობით, იმათ თითონვე ჰფლობენ და ბანკს ერთს კაპიკსაც არ აძლევენ და 3) ქუთაისის ქალაქის მოურავისაგან.

ქალაქის მოურავი! დიახ, ბ-ნი ლოლუა—გონებით ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერ გაიგოს, თუ რად ჰმომხრეობს ასე თავ-დადებულად ბ-ნი ლოლუა ბ-ნ ჩიკვაიძეს. არც პირველს მეორე და არც მეორეს პირველი საზოგადოებისთვის გამოსადეგარ მოღვაწედ არ მიაჩნია, და თუ ისინი ერთმანეთისთვის მაინც თავსა სდებენ, იმისთვის, რომ ერთმანეთს არჩევანებში ზურგი გაუმაგრონ: კარგად იციან, რომ ცალკ-ცალკე ვერც ერთი ბურთს ვერ გაიტანს.

რას დავეძებთ? დე, მზგავსმა მზგავსისათანა განისვენოს, დე კავშირი შეჰკრან, თუ-კი ამით საზოგადოებას არაფერი დაუშავდება.ძ თუ ვხედავთ, რომ იმათის მოქმედებით საზოგადოება ირყვნება და ზნეობით იხრწნება, მაშინ საზოგადოების ყოველი გულ-შემატკივარი წევრი ვალდებულია ამ ბოროტებას შეებრძოლოს.

დიახ, გონებით ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერა ჰხედავდეს, თუ რამდენი საზოგადოებრივი ბოროტება იხატება ლოლუა-ჩიკვაიძის კავშირში. წარსული რომ კიდევაც დავივიწყოთ, მარტო წრევანდელი არჩევანები კმარა, რომ იმათ საზოგადოებრივ მავნებლობასა და ბოროტებაში დავრწმუნდეთ. გავიხსენოთ მხოლოდ შემდეგი გარემოებანი:

პირველი: მსესხებელთა მხრით წარმომადგენელთა არჩევანი მთლად ბანკის გამგეობის საქმე იყო. თუმცა წესდებით გამგეობა ვალდებულია—ამრჩეველთა სიები არჩევანამდე ერთი თვით მაინც წინედ გამოაცხადოს, მაგრამ გამგეობამ ჩვეულებისამებრ წესდება დაარღვია და მხოლოდ არჩევანის წინადღით გამოაცხადა ხსენებული სიები, მანამდე-კი საიდუმლოდ ინახავდენ და, რასაკვირველია, თვითონ სარგებლობდენ, როგორც მოუხდებოდათ. ამ სახით ოპოზიციას მოესპო სახსარი, რომ ამრჩეველთა სიები ხელში ჰქონოდა და მით შესძლებოდა საარჩევანო ნიადაგის გონიერად მომზადება და რიგიან კაცების არჩევა. მერე როგორ მოიხმარა გამგეობამ (ლოლუა-ჩიკვაიძემ) ეს სიები? საკმაოა, ოდნავ თვალი გადაავლოთ მსესხებელთაგან არჩეულ წარმომადგენელთ და მყისვე დარწმუნდებით, რომ იმათ არჩევაში მხოლოდ კენჭების შეძენის სურვილი გამოსჭვივის,ძ არა საქმის რიგიანად გამორკვევისა და რიგიანად გზაზე დაყენების წადილი. ერთი მიბრძანონ ჩვენმა მოღვაწეებმა (მე ამას ვეკითხები უმთავრესად ჩვენს ცნობილ ლიტერატორებს—აკაკისა და გიორგი წერეთლებს, ქუთათურ მოღვაწე—დავ. ბაქრაძეს, ს. თოფურიას და კამპანიას, ამათზე ქვემოდ მექნება საუბარი),—ერთი მიბრძანონ-მეთქი, რა სახელი უნდა ვუწოდოთ ლოლუა-ჩიკვაიძის იმ მოქმედებას, რომ აშავებენ წარმომადგენლებად ბ-ნთ გიორგი ზდანოვიჩს, კოტე ბაქრაძეს, დიმიტრი ნაზაროვს, სიმონ ლორთქიფანიძეს და მრავალს სხვა საქმის მცოდნეთ, და ირჩევენ იმისთანებს, რომელთაც ბანკის საქმეები ისე გაეგებათ, როგორც, მაგალითად, სანსკრიტული ენა?! ნუთუ ეს ბოროტება არ არის?! ნუთუ ამ მოქმედებაში ვერ ჰხედავთ, ჩვენო გულ-შემატკივარო მოღვაწენო, საზოგადოების აპუჩად აგდებას, საზოგადოების ინტერესების ღალატს, მის ზნეობრივად მიწასთან გასწორებას?!.

მეორე. როცა კრებაში ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარემ მოკლედ, მაგრამ მჭევრმეტყველურად გამოაცხადა, რომ ბანკს მრავალი მამული აქვს დარჩენილი, ხოლო იმათი შემოსავალი ერთი კაპიკიც არა ჩანსო, ამ ამბავში რა წაიკითხეთ, გეკითხებით თქვენ, ჩვენო მოღვაწენო? ნუთუ ისე დაბრმავდით, რომ აქ ბოროტება ვერ დაინახეთ, და თუ დაინახეთ, რა ზნეობით იხელმძღვანელეთ, რომ ბოროტების გამარჯვებას ცხადის გინდ ფარულის თქვენის ყოფა-ქცევით ხელი შეუწყვეთ?!

მესამე. თქვენს თვალწინ აიხსნა

წილი დღევანდელ ადგილობრივ პირობების თანახმად.

*** შავი ზღვის გუბერნიაში ადგილ-მამულების მოსაწყობად და აგრეთვე ბაღოსნობის გასავრცელებლად, ამ გუბერნიის ადმინისტრაციის ერთს წარმომადგენელს, როგორც „სინ. ოტეჩ.“-ს აუწყებენ, წარუდგენია მთავრობისათვის პროექტი იმის შესახებ, რომ გუბერნიის მცხოვრებთა შორის არსებული სათემო მფლობელობა შეიცვალოს კერძო მფლობელობად.

*** იმავე გაზეთს ატყობინებენ, რომ კავკასიის ცხვრის მომშენებელთ გარდუწყვეტიათ მონაწილეობა მიიღონ პარიჟის მომავალ გამოფენაში და ამ აზრით ამ მოკლე ხანში ჰგზავნიან პარიჟში რამდენსამე კაცს, რომელნიც მოაწყობენ იქ ცალკე ფარდულს სხვა და სხვა ჯიშის ცხვრების დასაყენებლად.

*** სოფ. თმენიყავა, (კავკავის მაზრა) 26 თიბათვეს, საღამოს, თმენიყავის თბილ წყალზედ მოვიდა იურიევის უნივერსიტეტის პროფესორი გეოლოგი ბ-ნი ლევინსონ ლესინგი, რომელმაც ღამე იქ გაათია. მეორე დღეს, 27-ს, პროფესორი თავისი მხლებლებით შეუდგა მაილის ხეობის მყინვარის მთას. აქ ყველა შესანიშნავი ალაგის სურათები გადიღო. პროფესორს განზრახვა ჰქონდა მაილის მყინვარის მთა გადაევლო, გადასულიყო სოფელ ჯიმარაში, მერე ჯიმარის მაღალი მთა გადაევლო და თრუსოს ხეობაში გადასულიყო, მაგრამ ეს არ მოხერხდა, რადგან შეუძლებელი აღმოჩნდა მაილის მყინვარიდგან პირდაპირ გადასვლა. პროფესორმა მეორე ღამეც ისევ თმენიყავას თბილ წყალზედ გაათია. ოცდა რვას ისევ დაბრუნდა უკან, დარიალისი გაიარა და ღამე სოფ. ჯიმარაში გაათია. 28-ს შეუდგა ჯიმარის უღელ-ტეხილს, გადიარა მთა მშვიდობით, გადავიდა თრუსის ხეობაში და იქიდგან კობში. როცა პროფესორი წავიდა დარიალისკენ, ოსებმა მითხრეს, რომ ერთი ვიღაც ნასწავლი, ქართველი დაედევნა უკან პროფესორსაო, მაგრამ ვინ იყო ეს ქართველი, ვერ გავიგე, მხოლოდ ის-კი გავიგე, რომ ქართველი ჯიმარაში მოეწია პროფესორსო.

*** ტფილისის რეალურ სასწავლებელში დანიშნულია გზხამენები უფლებ საგნებში: 23 აგვისტოს—I და II კლასებში, 24 აგვისტოს—III კლასსა და I კლასის I-ლს განყოფილებაში, 26 აგვისტოს—IV კლასსა და V კლასის მე-2 განყოფილებაში, ახალ მოსწავლეთა მახადები გამოცდა მოხდება 27 და 28 აგვისტოს. თავისუფალ ადგილების უქონლობის გამო არ მიიღებიან მოსწავლენი პირველ კლასში.

*** 15 კაცის მოწამვლას „ლონდონის“ სასტუმროში იმ გარემოებას აბრალებენ, რომ ქიების წინააღმდეგ სახმარი შხამიანი ნივთიერება სასტუმროს კედლების მოსხურვის დროს პურეულშიაც ჩაცვივნულიყო.

*** 17 ივლისს იერუსალიმის ქუჩაზედ პოლიციის მოხელეთ ჰნახეს ძირს დაგდებული ვიღაც ადგილობრივი მცხოვრები ქალი ქაფით ტუჩზედ. ქალი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს და იქ კიდეც გარდაიცვალა. სიკვდილის მიზეზი და გარდაცვალებულის ვინაობა ჯერ არ იციან.

*** ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელმა უგრელიძემ განაცხადა ტფილისის პოლიცმეისტრის სამმართველოში, რომ გ. გ. ასათიანისა, რომელიც მასთან ერთად ცხოვრებდა ბინაზედ, ამ რამდენისამე დღის წინად გავიდა სახლიდგან და შინ აღარ დაბრუნებულა, სადღაც დაიკარგა.

*** 16 ივლისს ტფილისის რკ. გზის სადგურზედ საქონლის მატარებელმა დააშავა რაჭის მაზრის მცხოვრები გლეხი ბესარიონ სადანაშვილი. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც ერთის საათის შემდეგ გარდაიცვალა.

## ქიზიყის ამბები

(წერილი სოფ. ზემო-მაჩხაანიდგან)

ცხელა. დიდი გვალვაა. მთელს ორ-თვე-ნახევრის განმავლობაში ნამი არ ჩამოვარდნილა აქეთ. ჯანღ-ბურუსშია გახვეული მთლად ქიზიყი. ისეთი ჩამობნელებულია, თითქოს შემოდგომა იყოს. რას ჰნიშნავს ეს, რის მომასწავებელია? დიდის შიშით შეჰყურებს ხალხი ამ საშინელს ბუნების მოვლენას, რომელიც, უეჭველია, მეტის-მეტის სიცხეებით არის გამოწვეული. ჯერ არავის ახსოვს ასეთი ძლიერი სიცხეები ჩვენს მხარეში და ეს სულის შემხუთავი ჯანღ-ბურუსი, თუმცა გვალვა სხვა დროსაც არა ერთხელ ყოფილა.

საღლაა დიდებული სურათი ქიზიყის სოფლებისა. არსად ალაზნის დაცემული მინდვრები, არსად კავკასიონის დათოვლილი მთები, ჯანღ-ღრუბლებში გახვეულან ესენი.

უდიერის სიცხეების გამო ბალახი გახმა, მთლად გადიწვა და მოტიტვლდა მინდორ-ველები, დაშრა წყაროები და რუები, შავად გამოიყურებიან საძოვრები და სახნავ ნათესობანი. ჰაერი შეჯგუფებულია, ნიავის სუნი არ მოგედინებათ,—ცა, თუმცა ღრუბლებით არის მოფენილი, მაგრამ ისეა გამშრალი, რომ წვეთი არ გავარდება. მიწა ისე ღრმად არის დახეთქილი, რომ ფეხი ჩაგივარდებათ. მთლად წახდა გაზაფხულის ჰირნახული: ფეტვი, სიმინდი, ბამბა, თამბაქო, ბოსტნეულობა, რომელნიც სარწყავში არ იყვნენ. თუ კიდევ რამე ხანი გასტანა ამ სიცხე-პაპანაქებამ, თქვენს მტერს, რომ ჩვენ ცუდი საქმე დაგვემართება: ვენახებიც ხელიდგან გამოგვეცლება. ისეა შეწუხებული უწვიმობით ვაზი და ხეხილი, რომ ტირილი მოგივათ.

თორმეტ თიბათვეს დაიწყო აქ თიბვა. ძალიან მცირე ბალახი გაითიბა. საზოგადოდ წელს არ მოვიდა ქიყში ბალახი. ისეთი დაბალი და თხელი იყო ეს, რომ ცელი ძლივს მიეკარებოდა. კარგი მთიბავი ძნელად მოსთიბავდა დღეში ნახევარ ურემს თივას. შედარებით, კიდევ ცოტა რამ სიკეთე ჰქონდა ბალახს შირაქში. ამიტომ ყველანი: ქიზიყელები, რუსები, თუშ-ფშავ-ხევსურები და სხვ. იმას მიაწყდნენ.

მხოლოდ უხარო ხალხს დარჩათ ახლო მახლო მინდვრები, მაგრამ მაინც ძლივს ძლივობით თითო ოროლა ურემი თივა მოკრიბეს. ამისთანა ბალახის სიმცირემ დიდი სიძნირე გამოიწვია ჩვენში. ისევ ამ გაზაფხულზედ ურემი თივა ადგილობრივ, მიუტანელად, ღირდა სამი, ოთხი მანათი, როდესაც წინა წლებში ამის ფასი ძვირად აღემატებოდა ერთს ან ორს მანათს. ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ შემოდგომა და ზამთარი უბალახო დადგეს, თორემ მთლად დაილეუპება ქიზიყის ძროხა-საქონელი. არც პურის და ქერის მოსავალი იყო ჩვენში გვარიანი. წელს მთაში ოლეზედ, კოდაზედ, ვაკეში ძალიან დაბალი და თხელი ყანები მოვიდა და არც პური აილო კარგად. მიზეზი ამისა, როგორადაც ბალახის მოუსავლობისაც, იყო ის, რომ გაზაფხული ძლიერ ცივი იყო, შემდეგ გვალვა დაიჭირა. ამ ნაირად ჯერ სიცივემ და შემდეგ სიცხემ ყანა არ აუშვეს, დაჩაგრეს და დაჯვალეს.—

შედარებით მოსავალი კარგია წინამხარში ალაზნის ველ-მინდვრებში და შირაქში. წინამხარში ყანები დაიმკო და ეხლა ლეწვას მიჰყვეს ხელი: ყარღათში, ძველ-ანაგას, ჯუგაანში, ტობაანში, ხირსაზედ, ოზანცლუნკანში, საქობო-ვაქისში ლეწვა ეხლა გაძლიერებულია. გამოსავალი ქერს, პურს რიგიანი აქვს. ორი კალოს ნალეწისაგან ყარღათში, (შეადგენს ორმოც და რვა ათეულამდე), დამდგარიყო ისეთი ხვავი, რომელიც არა ნაკლები ოცი კოდისა იქმნებოდა. ამ რიგად ათეულზედ მოდის ხუთი ლიტრა ხორბალი, რაც უნდა ჩაითვალოს კარგ მოსავლად ამისთანა უმოსავლო დროს. მარცვალი მაძღარი და მძიმეა. შირაქში შედარებით უფრო კარგი მოსავალი აქვთ დედოფლის წყაროზედ, დიდნაურში, დიდ-ხევზედ, ტბაზედ. მე ჩემის თვალით ვნახე აქ ნახნავ-ნათესობა. ყანები ცხენიან კაცს შემოსწვდება, ხშირი და წმინდა არის. აქაიქ დაბლობებში მხოლოდ წაქცეული იყო. ნაკლები მოსავალია ბოლო შირაქში და ხანგლებში. აქ ყანები დაბალი და თხელია იმავე ზემო-დასახელებულის მიზეზების გამო. როგორც მაღლობ ადგილს, შირაქში საზოგადოდ გვიან შემოდის მოსავალი.

ეხლა აქ გაცხარებული მკაა. კანტი-კუნტად აქა-იქ მხოლოდ ნახავთ, რომ ლეწავდეს ვინმე. დიდი მუშის სიძვირეა. დღიური მუშის ფასი, პატრონის ხარჯით, ადის მანეთიდან შვიდ-აბაზამდე და მაინც კიდევ საშოვარი არ არის. მე რომ ჩემის თვალით განვიცადე ქიზიყელი მუშის ყოფა მდგომარეობა, სწორე მოგახსენოთ, ალალია მისთვის ასეთი დიდი ფასი. ღმერთს გეფიცებით ცოტაც არის. სწორედ რკინის კაცია ქიზიყელი მუშა. ამისთვის არც სიცხეს, არც სიცივეს, არც ჭამას და არც სმას მნიშვნელობა არა ჰქონია. ამ საშინელს სიცხე-პაპანაქებაში მოუღალავად იქნევს ნამგალს ყანაში დილიდგან საღამომდის. სულ ორჯელ სამჯერ, მცირე ხნით, მიბრუნდება პურის საჭმელად გრილოში. მერე რასა სჭამს და სვამს ქიზიყელი მუშა მომკალი? იმის საჭმელს შეადგენს ცარიელი გამხმარი, გაკორაწებული პური და უბრალო მღვრივე წყალი. არც ღვინო, არც არაყი, არც სხვა რამ ხორაგეულობა. მაგრამ განა ესკი მაძღრად და დროზედ აქვს მას. იქამდის უწვრთნია ქიზიყელს თავისი აგებულება და განუმარტივებია ფიზიკური თვისი მოთხოვნილება, რომ დიდს სირცხვილად მიაჩნია მუ-

---

ის გარემოებანი, რომ გამგეობის თავმჯდომარე ბანკში იშვიათად იარება, რომ საზოგადოების სხვა და სხვა დადგენილებანი არ აუსრულებიათ, რომ ზედამხედველ კომიტეტის ბძანებას გამგეობა თავის სავალდებულოდ არა სთვლის და სხ. და სხ. ყველა ამან რა დაბადა თქვენს გულში, ქვეყნისთვის თავდადებულო მოღვაწენო: სიმპატია თუ ანტიპატია გამგეობის წევრების მიმართ?

მეოთხე. უთუოდ ძალად იბრმავებენ თვალს ზემოხსენებული ჩვენი მოღვაწენი, რომ ვერ ხედავენ (უკეთ ვსთქვათ—არ უნდათ დაინახონ), თუ რა უზნეო საშუალებებს ხმარობდა ლოლუა-ჩიკვაიძის სინდიკატი ბურთის გასატანად?! ღმერთო ძლიერო! რა უზნეობას გრიგალმა მობერა საბრალო ქუთაისს, რა გარყვნილობის მორევში სცურავს იგი აგერ რამდენიმე წელიწადია—და არავინ არის მისი მხსნელი....

სხვებზე რაღა ვსთქვათ, რომ თვით ის ბატონები, რომელნიც ქვეყნის მოკეთეებად ითვლებიან, ნამდვილად ქვეყანას მტრობენ, უზნეო კაცებს გვერდს უმშვენებენ და მით საზოგადოების ზნეობრივ მხარეს მიწასთან ასწორებენ?!

თ-დმა აკაკი წერეთელმა დაგვლალა კრებაში თავისის გრძელის სიტყვით, მაგრამ მაინც ვერ გაგვაგებია, თუ რა აზრის იყო წრევანდელ არჩევანთა შესახებ. ორმოცი წელია ჩემს აზრებს საქვეყნოდ ვსწერო—და ნუთუ კიდევ ვერ გაიგეთ ჩემი აზრიო, ბძანა ბ-ნმა აკაკიმ. სამწუხაროც ეს არის, რომ ვერ გაგვაგებინეთ, ბ-ნო აკაკი! ჩვენ კარგად გავიგეთ, რომ თქვენ ხშირად ძალიან ლამაზ ლექსებსა სწერთ, სადაც გვეუბნებით: სამშობლო მიყვარს, ჩემს მამულს ვენაცვალე, ხალხისთვის თავს დავსდებო და სხ. და სხ. ყველა ეს ჩვენ ყურადღებით მოვისმინეთ, ყველა ამას ჩვენ აღტაცებაში მოვყავდით—და თქვენთვის ვაშა და თანაგრძნობა არ დაგვიკლია. მაგრამ, როცა სიტყვის საქმედ ქცევაზე მიდგა, მაშინ კი ვეღარ გავიგეთ, თუ რაში გამოიხატა თქვენი მამულის სიყვარული და მისთვის თავის დადება. აი ახლაც: თქვენ თვითონ კრებაში ბძანდებოდით და უეჭველად კარგად ხედავდით, თუ სად იყო ბოროტება, მაგრამ თქვენ ბოროტებასთან მებრძოლ მხარეს კი არ მიემხრეთ, არამედ, პირიქით, თქვენი ფარულის მოქმედებით და ორპოფულის სიტყვით (მგოსანი და მალულობია?! ლიტერატორი და გულჩახურულობა?!)—დიახ, თქვენი ორგულ-ორპირობით ბოროტების გამარჯვებას ხელი შეუწყეთ. ფარულად ხშირად გღვიარებიათ ჩვენთვის კერძო საუბარში, რომ ბ-ნი ჩიკვაიძისა და კამპანიის მოქმედება ბოროტებაა, ქვეყნისთვის მავნებელიაო, და ცხადად კი მათ საჯარო სადილებზე ბძანებულხართ და თქვენის იქ ყოფნით მათი მხედარნი გაგიმხნევებიათ.

ერთმა იქაურმა მხედართაგანმა, თქვენის თანადასწრებით, აღტაცებულმა წარმოსთქვა იქ ნადიმზე: „აკაკი ჩვენთან ბრძანდება—და ამისთანა კაცის „პარტიაში“ ყოფნა ყველა ჩვენგანს სასიქადულოდ უნდა მიაჩნდესო!“—და თქვენ ეს სიტყვები ჩვეულებრივის ღიმილით მოისმინეთ. თქვენ ეგებ თქვენივე ლექსი მოგვაგონოთ და გვითხრათ: „რა იციან, რომ ეს გული მკვდარია, რომ სიცილი ბევრჯელ ცრემლზედ მწარეაო“. დიახაც მოსაწონი იქნებოდა თქვენი სიცილიც და თქვენი ყოველგან ყოფნა, რომ ჭეშმარიტებას გულახდილად აღიარებდეთ, რომ ბოროტებას ბოროტების სახელს უწოდებდეთ და ყველასთვის თვალსაჩინოდ ჰკიცხავდეთ, რომ ფარისევლებსა და გზადაბნეულებში ჭეშმარიტების საქადაგებლად და სიმართლის გზის საჩვენებლად დაბძანდებოდეთ... მაგრამ, როცა თქვენის სიცილითა და ან სიჩუმით გზადაბნეულებს კიდევ უფრო უბნევთ გზას და ბოროტ მოქმედებაზე აქეზებთ,—მაშინ კი, ნურას უკაცრავად, არ შეგვიძლიან ჩვენი გულის ტკივილი და მღელვარება დავფაროთ და თქვენი საქციელი არ გავკიცხოთ.

„გამიქვავდეს მე ეს ენა, თუ რომ ვისმე მივეფერო, და გამიხმეს ეს მარჯვენა, თუ სიმრუდით სიმნი ვაჟღერო“-ვო,—ბრძანებთ თქვენ. რა მშვენიერი სიტყვებია, რომ საქმითაც ამას ასრულებდეთ! მაგრამ „სიტყვა სიტყვაა, საქმე კი სხვაა“...

თქვენ, ბ-ნო აკაკი, ჩემის აზრით, ორ დიდებულ ტაძართან გაქვთ საქმე: ერთია—სიტყვის ტაძარი, რომელსაც თქვენ მარჯვენათი ტურფად აშენებთ თვალის სასიამოვნოდ, მეორე—საქმის ტაძარი, რომელსაც მარცხენათი ანგრევთ გულის მოსაკლავად.

დიახ! მე სხვების სიტყვას არ ავყოლივარ, და როცა ჩემის თვალით დავინახე ყოველივე, გონებით გავზომე და გულით ვიგრძენ, მხოლოდ მაშინ ავიღე ხელში კალამი—და ჩემის ქვეყნის წინაშე ჩემს აზრსა და ჩემი გულის ტკივილს დაუფარავად აღვიარებ.

ქუთაისის ცხოვრებაში არჩევანი დიდი საზოგადო საქმეა: აქ გამოსჭვივის ყოველივე ჩვენი ავი და კარგი, ჩვენი სისწორე და სიყალბე. არჩევანი წარმოადგენს ჩვენი საზოგადოებრივის ცხოვრების ერთს განმავითარებელ სახსართაგანს. აი, აქ არის საჭირო, რომ მოწინავე კაცები ხალხს გზის მანათობელ ლამპრად მოევლინონ: ბოროტებას ებრძოლონ, სიცრუე და ორპირობა დაჰგმონ და დასწყევლონ, წყვდიადს ნათელი მოჰფინონ და სიკეთე გამოაქვეყნონ! გულის სიმართლე და გონების სინათლე სიკვდილამდე იქადაგონ, ამაებს სცენ თაყვანი მარად და მარად!.. მხოლოდ მაშინ მოგვიტანს ეს სახსარი კეთილნაყოფს, მხოლოდ მაშინ შეიქმნება იგი დახშულ გონების სხივად, წყლული გულის მალამოდ. და თუ ის პირობები, რომელნიც მეთაურებად ითვლებიან, ან ჩუმად არიან, ან მალულად მოქმედობენ და ბოროტებას ემხრობიან,—მაშინ, რა თქმა უნდა, ყოველივე განმავითარებელი იარაღი დამამხობელ ბასრად გარდაიქცევა. არჩევანი ორპირიანი მახვილია, და თუ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას იგი განვითარების მაგიერ აქვეითებს და ზნეობით ჰრყვნის, ეს მთლად თქვენის წყალობით არის, ჩვენო მეთაურო მოღვაწეებო!

წარსულშიაც ვადევნებდი მე თვალყურს თჩვენს ყოფაქცევას, ბ-ნო აკაკი, არჩევანების დროს—და თქვენმა მოქმედებამ გამოიწვია ჩემის კალმისაგან (1893 წელს) აზრი, რომელსაც მე აქ, იმის სინამდვილეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შამბის დროს წყლის დასალევად მიბრუნება. თუ გინდ გული გილონდებოდეს, არ შეგიძლიან მკის დროს მიბრუნდე ბარგთან წყლისათვის, ვიდრე ყველანი არ დაბრუნდებიან დანიშნულს ვადაზედ. ასეთ სპარტანულს კანონებზედ არის აგებულ-აშენებული ქიზიყელ მუშის ყოფა-მდგომარეობა.

ახ, ღმერთო, რა დიდებული მხარე ყოფილა ეს შირაქი. ერთის მხრივ თქვენ წინ არის გაშლილი თვალ-გაუწვდენელი დაცემული ველი, მეორის მხრივ გადაჰყურებთ დათოვლილს კავკასიონის მთებს. ისე გგონიათ, რომ იმათზედ მაღლა სდგეხართ. იმ დროს, როდესაც მზის სხივებს ჯერ ყური არ ამოეყოთ, ვიდექ ნატახტარზედ, შირაქის მთებში—ჩანკაანის წყლის თავში და მთლად ოცნებად გარდაქცეული ვუმზერდი დიდებულს კავკასიონის დათოვლილს მთებს. აქ ოდესმე დიდი ქალაქი ყოფილა. დღეს კი დაშთენილა მხოლოდ ერთი ძველის-ძველი ეკკლესია, წოდებული ჩანკან ხევის ეკკლესიად, საძირკველი ძველის უზარ-მაზარის რაღაც შენობისა, რომელსაც ხალხი უწოდებს „ნატახტრად“ და რამდენიმე ქვის შენობის ნანგრევები. ეს ქალაქი არავისგან ცნობილი არ არის. როგორც სჩანს დიდი, ძალიან დიდი ქალაქი უნდა ყოფილიყო. ბევრი ვიძიე, მაგრამ ვერ შევიტყე, როდის ყოფილა და რა დროიდგან აოხრებულა ეს ციხე-ქალაქი.

ბოლოს ერთი სამწუხარო ჩვენი კიდევ ამბავი: 11 ამ თვისას გაჩნდა შირაქში ცეცხლი, რომელმაც იმსხვერპლა ბოლო შირაქი თავისს კალოებით და ყანებით. დიდი ზარალი მოსვლიათ მაჩხაანის, პანიაანის და ბოდბისხევის მცხოვრებთ. ათას დღიურს აღემატება გადამწვარი ნათესობა.—ცეცხლი გაჩენილა ორის მხრივ. იაკობიაანების კალოების და თუშების ბინების მხრივ. ზარალი რამდენსამე ათას თუმნამდეა, როგორც ამბობენ. ერთს მაჩხანელს კაცს, დათიკო ბოსტაშვილს, მთლად დასწვია თავისი ჭირნახული: თივები, კალოსაბძელი, ძნები, მოსამკალი ყანები, ბანები და სხვა მთლად ყველა მოწყობილება. მარტო იმას ორას თუმანზე მეტი ზარალი მოსვლია.

ა. ნატროშვილი

# რუსეთი

სახალხო ჯანმრთელობის დამცველ საზოგადოებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ შემუშავებულ იქმნას ზომები მუშებს შორის ციებცხელების გავრცელების საწინააღმდეგოდ.

— 1900 წლის 1-ლ ივლისიდგან პოლონეთის გუბერნიების ქალაქის საკრედიტო დაწესებულებებში საქმეთა საწარმოოდ საბოლოოდ შემოღებულ იქმნება რუსული ენა.

— სამთო დეპარტამენტი აგვისტოს დამდეგიდგან შეუდგება მასალების მოგროვებას რუსეთში სამთო საქმის განვითარების შესახებ.

— გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ცენტრალ დაწესებულებათა მოსამსახურე კაცებს და მათის ოჯახების წევრთ უფასოდ შეეძლოთ ისარგებლონ სამკურნალო დახმარებით.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე რამდენმამე ერობამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ დაწესებულ იქმნას მუშათათვის სამკურნალო დახმარება მათის პატრონებისა და მწარმოებელთა ხარჯზედ.

— გადაწყვეტილია, რომ პეტერბურგში ამ მოკლე ხანში ახალი საფოსტო ყუთები გაჰმართონ. ბანკებს, სავაჭრო სახლებს, კანტორებს და აგრეთვე კერძო კაცებს უფლება ექნებათ გამოჰკიდონ საფოსტო ყუთები, მაგრამ ერთ გვარის სახისა კი. დაწესებულ საათზედ ფოსტალიონი ამოიღებს ხოლმე ყუთებიდგან წერილებს.

— უწმ. სინოდის სასწავლებელთა საბჭოს შეუდგენია და გამოუცია ყველა ეპარქიებისათვის სახელმძღვანელო წესები ერთკლასიან სამრევლო სკოლების მასწავლებელთა გამოსაცდელად, და აგრეთვე მათის გამოცდის პროგრამები.

— რუსეთის მეღვინეობისა და მევენახეობის დამხმარებელ საზოგადოების წევრთ გარდასწყვიტეს დაჰხურონ თავიანთი მაღაზიები კვირა-უქმე დღეებში.

— საზღვარგარეთის გაზეთებში იუწყებიან, რომ ამერიკულ ჟურნალის „The Cosmopolitan“-ის გამომცემელს საჩივარი აღუძრავს რუსეთის ცნობილ მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის წინააღმდეგ. ამ გამომცემელს მთლად დაუსაკუთრებია ტოლსტოის ახალ რომანის „Воскресенiе“-ს თარგმანის დაბეჭდვის უფლება. თარგმანი გამომცემელს შესამჩნევად გადაუკეთებია, რადგან უხეირო თარგმანად უცვნია. ამას გარდა, მას ზოგიერთი ადგილი რომანში შეუფერებლად მიუჩნევია თვისის ჟურნალის მკითხველთათვის და ეს ადგილები თავისის ნებით გამოუშვია. ასეთის თვით-ნებობის გამო ტოლსტის მიუნდვია ერთის კაცისათვის რომანის ბეჭდვის შეწყვეტა „Cosmopolitan“-ში და გამომცემლისათვის შეუთვლია, ხელნაწერის გაგრძელებას ველარ გამოგიგზავნიო. და სწორედ აი ამის გამო გამომცემელს საჩივარი შეუტანია ავტორზედ, რომლისაგანაც მოითხოვს 200,000 მანეთის ზარალის ზღვევას ხელშეკრულების დარღვევისათვის.

# უცხოეთი

გერმანია. გერმანიის გაზეთებმა ისევ გაავრცელეს ხმა, რომ თავადი ჰერბერტ ბისმარკი ხელ-ახლა უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო სამსახურსო. ზოგნი ასე ჰფიქრობენ, რომ როცა ლონდონში გერმანიის ელჩის ადგილი განთავისუფლდება, ბისმარკი სწორედ იმ ადგილს დაიჭერსო. ამბობენ, ვითომც ბისმარკის ცოლის სურვილიც იყოს, მისმა ქმარმა ეს თანამდებობა იკისროს ლონდონში.

—

საფრანგეთი. ამას წინად გაზეთებში იყო მოხსენებული, რომ ეშმაკის კუნძულზე დარაჯებს უნდოდათ როგორმე მოეხერხებინათ, რომ დრეიფუსს გაქცევა მოენდომებია, და ამ შემთხვევით ესარგებლნათ და მოეკლათ იგიო. ეს ამბავი მართალი გამოდგა და ასეთ საზიზღარ საქციელის გამოსარკვევად გამომძიებაც დაუნიშნავს საფრანგეთის ეხლანდელ მთავრობას. გამომძიებას აღმოუჩენია, რომ მართლაც სდომებიათ დრეიფუსის გაბრიყვება, რომ გაქცევა განეზრახა და ამისათვის სიცოცხლე მოესპოთ მისთვის. ამ ბოროტ-განზრახვის განხორციელება უკისრნია სატუსაღოს ადმინისტრაციის ერთს წევრს, ვიდაც ბერილიონს, რომელიც ეხლა თითონვე ზის სატუსაღოში. ბერილიონი ღამით რამდენიმე კაცით ეშმაკის კუნძულს მისდგომია ნავით. ბოროტ-განმზრახველებს ხმაურობა აუტეხიათ. რაღა თქმა უნდა, იმათ აზრად ჰქონიათ, რომ ამ ხმაურობაში დრეიფუსს გამოეღვიძება, თავის ქოხიდგან გარეთ გამოვა და ნავისაკენ წამოვაო; ამით ისარგებლებენ მისი დარაჯები და შემთხვევა მიეცემათ თოფები დაუშინონ მას და დახვრიტონო. მაგრამ მოტყუებულან: დრეიფუსს მართლაც გამოჰღვიძებია ხმაურობაზე, წამომჯდარა და უკითხავს—რა ამბავიაო, მაგრამ სანამ დარაჯისაგან პასუხს მიიღებდა, ისევ ლოგინში ჩაწოლილა. ამით რომ ვერას გახდნენ დრეიფუსის მტრები, სხვა საშუალებისათვის მიუმართნიათ, რომ როგორმე სიცოცხლე მოეშხამათ მისთვის და წუთი-სოფლისათვის გამოესალმებინათ. ერთხელ მისთვის დეპეშა მიუტანიათ, რომელიც აცნობებდა, რომ შენს ცოლს შვილი შეეძინაო. ეს იყო ორი წლის შემდეგ, რაც დრეიფუსი ეშმაკის კუნძულზე მიიყვანეს. ყველასათვის ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მწუხარებას იგრძნობდა ამ საზიზღარ ტუსაღის მსხვერპლი, როცა თვალ-წინ წარმოუდგებოდა, რომ ცოლმაც-კი მიღალატა და ეხლა ყველასაგან მოძულებული და მიტოვებული ვარო. ხოლო სარწმუნოდ რომ არ ეცნო ამ დეპეშის შინაარსი, არ შეიძლებოდა, რადგან საახალშენო სამინისტროს ბეჭედი ყოფილა ზედ დაკრული.

„Temps“-ის თანამშრომელს უკითხავს ბრალდებულ დრეიფუსის ძმის, მათე დრეიფუსისათვის, მართალი არის ეს ამბები, რომლებმაც მთელი საზოგადოების ყურადღება მიიპყროვო? ყველა მართალი არისო,—უპასუხნია მათე დრეიფუსს,—და თან დაუმატნია, რომ ჩემმა ძმამ თხოვნები გამოგზავნა ეშმაკის კუნძულიდგან პალატისა და სენატის პრეზიდენტების სახელობაზე, მაგრამ არც ერთს არ მოსვლია, სადღაც გაჰქრა ორივე თხოვნაო.

— დრეიფუსის საქმის გარჩევას შეუდგება რენის სამხედრო სასამართლო 26 ივლისს, მომავალ ორშაბათს. გაზეთების სიტყვით, სასამართლოს დარბაზში ასე არის განაწილებული ადგილები: 154 ადგილი მოწმეებისათვის არის დატოვებული, რომელნიც დასახელებულნი არიან ორივე მხრისაგან; 190—ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელთათვის; 204—პატივსაცემ ხალხისათვის, რომელთაც თავმჯდომარის მიერ ხელ მოწერილი ბილეთები ექნებათ დარიგებული სასამართლოს დარბაზში შესასვლელად, და 60 ადგილი დატოვებულ იქნება იმათთვის, ვინც, შეიძლება შემთხვევით დაესწროს საქმის გარჩევას.

— გაზეთები ამბობენ, რომ სამხედრო მინისტრად ნამყოფს გენერალ ბილიოს გარდაწყვეტილი აქვს განაცხადოს რენის სამხედრო სასამართლოში, რომ დრეიფუსის დანაშაულობის შესახებ მოვტყუვდიო.

— ხმა დადის, რომ მილიერანი თავს

ნამეტურ დღეს შეურყეველად დარწმუნებული, საქვეყნოდ აღვიარებ:

მაღალი გრძნობა, მაღალი ნიჭი
მად მოუცია შენთვის ზენასა,
რომ უანგაროდ ხალხს ემსახურო
და უწინამძღვრო მშობლურ ენასა.

„სიტყვა სიტყვაა, საქმე კი სხვაა:“—
უნდა ათანხმო საქმე და აზრი,
და არ გაჩერდე ხელ-გულ-დაკრეფით,
როცა მუსრს ადენს ხალხს მტრისა ბასრი.

თუ ერის გამრყვნელს გვერდში უდგები
და ან გულგრილად შორით უყურებ,
მაშინ—ნუ გიკვირს შენ სიცოცხლეში
მხოლოდ გმობასა დაიმსახურებ.

ნიჭს ნუ გვიფასებ: ის ცის მადლია,
თანაც ამზდელი მისი—ერია.—
პატივის ღირსი ცოცხლათ ის არის,
ვინც ცხოვრებაში მშვენიერია!

თუ საქმითა შლი სიტყვით აღბეჭდილს,
ნიჭით თუნდ ცამდი იყო მაღალი,
აწმყოსგან პატივს ნურას თხოულობ:
ნიჭისთვის თაყვანს გცემს მომავალი.

დიახ! ეს არის ჩემი მტკიცე და უცვლელი რწმენა: ყოველ მოღვაწეს თავის თანამედროვე ცხოვრებაში საზოგადოებისაგან თანაგრძნობა იმდენად ეკუთვნის, რამდენადაც ის საქმით ამტკიცებს საზოგადოების მიმართ თავისს სიყვარულს. ცალიერ სიტყვებს კი მხოლოდ შორეული მომავალი დააფასებს მიუღებლობა. სიტყვა, როგორც სარწმუნოება, განსაკუთრებით თანამედროვე ცხოვრებისთვის, თვინიერ საქმისა მკვდარ არს!

ესევე უნდა მოვახსენო ბ-ნ გიორგი წერეთელს... მაგრამ არა, მე იმას აკაკის ვერ შევადარებ. სულ სხვაგვარია ბ-ნ გიორგი წერეთლის მოღვაწეობა. იმან, მართალია, წვიმაში თავშესაფარი პაწაწკინტელა ქოხი აგვიშენა, მაგრამ იმ დროსვე დიდებული სასახლე დაგვინგრია, და ამ სახით თავს მოიხვია საზოგადოების ვალი, რომელსაც ის ვერაოდეს ვერ გადიხდის, რომელიც მას საიქიოს ვალადვე უნდა გაჰყვეს, რადგან საქაოს იმდენი ღონისძიება არ მოეძებნება, რომ შესძლოს თავის „ცოდვათა შემსუბუქება, მუნთანა წასატანისა“.

ბ-ნ გიორგი წერეთელმა დიდი ენერგია გამოიჩინა წრევანდელ არჩევანების დროს, დიდი საქმის მოყვარეობა. ის მწოლიარე ავათმყოფი იყო ტფილისში—და ლოგინიდან განგებ იმისთვის წამოდგა და ეს დიდი მანძილი იმისთვის გამოიარა, რომ კრებას დასწრებოდა. დაესწრო და ყოველივე მოისმინა: მოისმინა გამგეობის წევრთა სიგლახაკე, დაინახა მათი არარაობა, დარწმუნდა იმათ უზნეობაში—და მაინც კიდევ მიემხრო იმათ! ბოროტება ბოროტებად აღიარა და ბ-ნ ჩიქვაიძეზე წარმოსთქვა, ქრთამებით მოქმედობს უბრალო ხალხზეო?! (იხ. გ. წერეთლის წერილი—„კვალი“ 1899 წ. № 12 და ნ. ჟორდანიასი—№ 13). და თუკი ბ-ნი ჩიქვაიძე ქრთამებს არიგებს და მით გონება დახშულ ხალხს ზნეობით ჰრყვნის, რა საფუძვლით იქცევით, ბ-ნო გიორგი, რომ ამისთანა კაცს ემხრობით და საზოგადოების მეთაურად ასკუპებთ?! რა ჰქვიან ამისთანა მოქმედებას, ბ-ნო ლიტერატორო, ფარლალალა ქოხის მაშენებელო? ხალხის ზნეობრივად გარყვნა, დიდებული სასახლის დანგრევა განა?!

შეიძლება ბ-ნ გიორგი წერეთელს საგნად ის ჰქონდა, რომ ბანკში შეცოცებულიყო—და კიდეც შეაცოცეს, ზედამხედველ კომიტეტში დაასკუპეს!... რად უნდა გაგვიკვირდეს? ნათქვამია „მელიას თავისი სორო მოსწონსო“, „მზგავსი მზგავსთა თანა განისვენებდესო“... ვაშა, ვაშა, მხცოვანო ლიტერატორებო!

კიდევ დამრჩენია ორიოდე სიტყვა ჩვენს ქუთათურ თავ-მოწონებულ მოღვაწეებს ეძღვნება.

ამათ შორის შესანიშნავია ბ-ნი დავ. ნ. ბაქრაძე, და თქვენც გეცოდინებათ, რით არის შესანიშნავი: მით, რომ ყოველ არჩევნების დროს კენჭის ყრის ხუსტური მოუვა, და თუ კანდიდატად არ აირჩიეთ და კენჭი არ უყარეთ, თავის მოსისხარ მტრებად ჩაგთვლით და თვითონაც თქვენი მოსისხარი მტერი შეიქნება. სწორედ ასე მოხდა ახლაც: რატომ მე არ ამირჩიეთ კანდიდატათო—და გადაუდგა ოპოზიციას, ეს კიდევ არაფერი. რამდენიმე საპატიო კაცი მივიდა მასთან დეპუტაციად და სთხოვეს, რომ უბრალო მიზეზით არ ეღალატებინა საზოგადო საქმისთვის. როგორც იქნა, პატიოსანი (?) სიტყვა ჩამოართვეს, რომ ოპოზიციის თანახმად ემოქმედნა. მაგრამ თავისი აღთქმა მეორე დღესვე დაარღვია—და ოპოზიციის წინააღმდეგ განაგრძო მოქმედება.

ბ-ნი ს. თოფურიაც ისე მოიქცა, როგორც ეკუთვნის ბ-ნ ლოლუას თაყვანისმცემელს, ე. ი. ორჭოფულად. ჯერ სთქვა, რომ კრებებს დავესწრები, საქმეებს ყურადღებით მოვისმენ და შემდეგ სინიდისისამებრ ჩავაგდებ კენჭს. მერე კი კრებებზე დასწრების მაგიერ, ბ-ნი თოფურია ტფილისს წაბძანდა და სწორედ იმ დღეს გამოცხადდა, როცა კენჭი უნდა ჩაეგდო, და ჩააგდო კიდეც. ერთი უნდა გკითხოთ ბ-ნ თოფურიას: თავის მარჯვენის მოქმედებაზე დაამყარა? თვითონ არც მოუსმინა და არც დაუნახავს ყოველივე ის, რაც კრებაში წარმოითქვა და წარმოდგა და რაზე დააფუძნა თავისი არჩევანი: ბ-ნ ლოლუას საქციელზედ თუ ბ-ნის ჩიქვაიძისაზე?..

აი ამისთანა მოღვაწეები ჰყავს საბრალო ქუთაისს!

მე აქ არ ვასახელებ სხვა პირებს, რომელნიც ახლაც ისე ორპირულად და სიყალბით მოქმედებენ, როგორც წინედაც და რომელთაც საზოგადოება კარგად იცნობს ვინც დავასახელე—იმიტომ დავასახელე, რომ საზოგადოებას ისინი თვალს უხვევენ და ბევრს ისინი კიდევ რიგიან მოღვაწეებად მიაჩნია. დეე ყველამ, ვინც ჩვენს მოღვაწეებს საქმით ვერ იცნობს, წაიკითხოს, რაც იმათზე იწერება, და გაიგოს, თუ რა მოღვაწეები ყოფილან ზოგიერთი ჩვენი მეთაურები. მომავალში მაინც ვიხელმძღვანელოთ აწმყოთი და მხედველობაში ვიყოლიოთ ეს ვაჟბატონები...

დასასრულ ოპოზიციის წევრებს უნდა ვურჩიო, რომ სულით არ დაეცნენ და მომავალში ბრძოლაზე ხელი არ აიღონ. ყოველ შემთხვევაში ოპოზიციის სასახელოდ ის უნდა ითქვას, რომ მისი [illegible] ბრძოლა იყო ბრძოლა სახელოვანი და სასიქადულო.

სოლვანი

დაანებებს მინისტრობას, თუ სოციალისტთა მომავალმა კონგრესმა წინააღმდეგობა განაცხადა მისი სამინისტროში ყოფნისა. მთავრობა უკვე მიხვდა, რომ შესაძლებელია მილიერანის გამოსვლა სამინისტროდგან და უკვე საცხეში ჭყავს მის მოადგილედ ერთი რადიკალ-სოციალისტი.

—

**ინგლისი.** საზოგადოებათა პალატამ გადასდო მომავალი წლისათვის 6,601,000 გირ. სტერლინგი სამხედრო ფლოტის შესავსებლად და შესაკეთებლად. ამ ფულიდგან 3.799,000 გირ. სტერლინგი უნდა მოხმარდეს ახალ გემების აგებას და ძველების შეკეთებას, და 2,417,000 ფლოტზე მოსამსახურეთ. ზღვათა მინისტრმა გოშენმა განაცხადა პალატაში, რომ საგანგებო ხარჯი საჭირო არ იქნებაო, რადგან არა სჩანს, სხვა სახელმწიფოები ემუქრებოდნენ ინგლისსო. იმედი უნდა ვიქონიოთო,—განაგრძო მინისტრმა,—სხვა სახელმწიფოებიც არ შეჰხედვენ იმ თვალით ჩვენს შეიარაღებას, ვითომც ჩვენ ვისმეს ვემუქრებოდეთო. ჩვენ საომრად არ ვემზადებით, მაგრამ წინანდებურად დღესაც ჩვენს წმინდა მოვალეობას შეადგენს, ისეთი ფლოტი გვქონდეს, რომელიც ორ დიდ სახელმწიფოს ფლოტს უდრიდესო.

—

**ბელგია.** საფიქრებელია, რომ პოლიტიკურ დასთა მორიგებას ბელგიაში ბოლო ეღება და რომ იქ გაორკეცებით განახლდება შინაური ბრძოლა. 8 ივლისს მინისტრ-პრეზიდენტმა ვანდე-პერობომმა განაცხადა სენატში, მთავრობა არ უარ ჰყოფს თვისს საარჩევნო კანონ პროექტს, და ეს პროექტი უთუოდ განხილულ იქმნებაო. ეს გამოიწვევს ხელ-ახალ ხურ-ხაურს პალატაში და ქუჩაზედ. შეერთებული ოპოზიცია, თქმა არ უნდა, დაუყოვნებლივ პასუხს მისცემს ბელგიის მინისტრ-პრეზიდენტს ასეთს გამოწვევაზედ.

## ელიობა

(ინგილოთა რწმენიდგან)

ისმის გრგვინვა, ქუხილი...

— მამილო, რაჲსა რუმ გურგურებს? (რაა, რომ ჰქუხს?)

— ელიაჲს. შვილო.

— მინ (ვინ) იყო ელიაჲ, მამა!

— დიდ კაც იყო, წინასწარმეტყველ იყო.

— რასან (როდის) იყო და რუმენ (რომელ) ქვეყანაში?

— უწინ იყო, ურიების ქვეყანაში.

— ცაში როგორ გაუდა (ავიდა) ახლა?

— წმინდა იყო და ღმერთმა ცეცხლის ურმით აიყვანა.

— იქ სახლ აქო?

— აქ, წითელ სახლ აქ.

— რაზე დგასა იმი სახლ?

— ცაზედ, ღურბელ (ღრუბელ) ზედა.

— რას ჭამსა ახლა იქ? რას იცომსა?

— ღმერთ აცხოვრებს, შვილო, და ღმერთ აცომს.

— კაჲს (კარგია) მაშ. ახლა იქ რუმ არც მინდვრები, არც ტყეები, არც მენაკები (ვენახებია), არც კაცები (კაცებია),—ელიაჲ რას ჩედის (სჩადის), მარტო გზას (იოლად) როგორ მიდის?! მართლა რას ხედავს (ხედავს), არ ტურ-ბაჲ (სარობას) არ უნდა, ან გვეხს-გამოვლაჲ, მარტოკა არ წუხდება?

— იქ, შვილო, ელიას ღმერთ ელაპარაკების, ანგელოზებ ელაპარაკებიან, მარტოკა არ რჩების. საქმეჲც ბევრ აქ, ფიქრიც.

— რას ფიქრობსა ახლა?

— ფიქრობს, წვიმაჲ რასან მაჲყონასა (მოჰგვაროს), კმელ, გაგურებულ მიწაჲ როგო გააგრილოსა, სად რა გაანედლოსა, სად რა ამოაყონასა (ამოიყვანოს), სად რა გაზარდოსა, ქვეყანას როგო უპატრონოს-მოუაროსა (დაიცვას).

— მაშ დიახ მადლიან კაც ყოფილა!

— მუდამ ფიქრობს: „მე რუმ აქ წითელ სახლში ვცხოვრობ, ნეტა, დაბლა კაცები როგორღა ცხოვრობენ, ჭუმ (ხომ) არა შიანთ, ჭუმ არა სცივათ“. წუხს ჩვენთვის, ფიქრს ემლევა და ეხვეწება ღმერთს: გაამლიეროს ქვეყანაჲ, დიდ-პატარაჲ გაასწოროს, გაასაროს.

— ამთონ ხანს რუმ ევედრება, მაშ აქამდინ დიდ-წვრილ როგორ არ გასწორდა? სისწორეჲ როგო არ იქნა? ზოგს რაჲზე ბევრ აქო, ზოგს ცოტაჲ? ზოგ დიდ გორიან (გვარიანი) კაცი, თავადი, აზნაური, და სხოს (სხვას) კი ქოხიც რაჲზე ენატრება?

— ეშმაკ არ უშვებს. ეშმაკ შუა გზაზე დგას. რასაც წმინდანებ კაჲ საქმეს ჩედიან, ეშმაკ არღვევს, აფუჩებს (აფუჭებს): სიცხით სწოვს (სწვავს), სიცივით აზრობს, ყინავს, კლავს. კაცს კაცს უსევს, ძმას ძმას აკვლევინებს, ზოგს დიდ ხდის, ზოგს პატრას (პატარას), ზოგს პაშტა ხანს აცოცხლებს, სხოს კი არ აშენებს.

— მაშ წმინდანებზე ღონიერ ეშმაკ ყოფილ!?

— წმინდანებზე ღონიერ როგო იქნება? წმინდანებ რუმ არ ყოფილიყვნენ, ქვეყანას რაჲღა შეჲნახავდა! კაც, ხეჲ, ბალახ გადაიწოდა, დაივსებოდა (დაიღუპებოდა). აი ეხლა რომ გურგურებს, ჰმეზ (ეგე) ელიაჲს (ელიაა), ეშმაკს უჯავრდების: „ქვეყანას რაჲზე სწვავე, რაჲზე ღუპავავ“.

— ჭემწო (ამსწორი, ამოდელა) კმაჲ როგო აქა ახლა?

— გურგურ ელიაჲ კმაჲ ჭუმ (ხომ) არ არის, იმი ურმისი!

— ურმისი?!

— ჭოვ, ურმისი. ქვეყანას ეშმაკ რუმ ცეცხლს მოუკიდებს, ელიაჲ თავისს ოქროს ურემში შეაბამს მოზვრებს, აიღებს სახრეს, ზედ შეჯდება და კარებს გადაჰკრავს და ეშმაკს გამოეკიდება. მიობის ურემი თხელ ცაზედ, ცაჲ ტრაუუნობს, გრიალობს, ზანზარებს. ურმის გაქანებით, ღრუბლებ იძვრიან, ქარებ ქრიან და წვიმით იწურებიან. საჲთაც ურემ გაექანება, აიქათუენ წვიმას დაასხამს. ეგ (ამ) დროს ეშმაკს თუ დიახ გაუჭირდა, სეტყვას ჰუშენს: „შენ რუმ ქვეყანას აგრილებ, მეც გრილითვე გაგაოხრებ და დავავსებ მასო“...

—

დიდი ელია,
ღვთის მეტყველია,
ცასა მვლელია,
მწვიმებელია.
ქალაქელია,
თუ სოფლელია—
ყველა მისია
მვედრებელია;
მათცა ელის
მწყალობელია,
მგრილობელია.

მ. ჯანაშვილი

## დამაკვირდი

—

მდიდართა შორის კაი კაცი მხოლოდ ის არის, რომელიც ღმობიერია და უქონელთა შემწყნარებელ-გამკითხავი.

ლასურიძე

***

დააჩვიე თავი შენი სადაგსა ჭამასა.

საეკლ. მუზ. № 153

***

კაცი თავის აუგსა ვერ ჰხედავს და უაუგო კაცი არ არის!

ფილოსოფ. პლატონ

## ჟურნალ.-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გერმანიაში, შლეიცის მახლობლად, ერთ მიყრუებულ სოფელში გარდაცვლილა ამას წინად 86 წლის მოხუცი ვინმე ხელოსანი. სიკვდილის შემდეგ ამ ხელოსნის სარდაფში უნახავთ ორი პატარა ყუთი, რომელიც ფულით ყოფილა გატენილი, სულ 1,700,000 მარკა იდო თურმე შიგ. არავის არ ეგონა, თუ მოხუცს ამოდენა ფული ჰქონდა, განსვენებულის ქალებმაც კი არა უწყოდენ-რა ამ ფულის შესახებ. მოხუცი ძალიან ხელმოჭერით სცხოვრობდა თურმე და ყველას ღარიბი ეგონა. არასოდეს მესამე კლასის ვაგონშიაც კი არ ჩამჯდარა, სულ ყოველთვის როდესაც რკინის გზით უხდებოდა მგზავრობა, მეოთხე კლასის ბილეთს იღებდა თურმე.

***

1871 წელს ბერლინის პოლიციას ერთი კარგი წესი შემოუღია. ამ წლიდგან ყველა დამნაშავეთა მკვლელების, ქურდების, ყალბის ფულის მჭრელების და სხვათა სურათებს ჰკრებავდა და ალბომში ათავსებდა თურმე. წლის გასულს ალბომში უკვე 764 სურათი იყო. 1871-დგან 1898 წლამდე ბერლინის მცხოვრებთა რიცხვი ერთი ორად გამრავლდა, მაშასადამე 1898 წელს 1500 დამნაშავეთა სურათი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნამდვილად კი 17,989 სურათი იყო მოთავსებული პოლიციის ალბომში. აქედგან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ დამნაშავეთა რიცხვი საოცარის სისწრაფით მრავლდება ბერლინში.

***

გესსენში გადაუწყვეტიათ გარდასახადი დაადონ იმ ყმაწვილ კაცებს, რომელნიც ცოლს არ შეირთამენ. ამ ამბავმა ბევრი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ერთმა ადგილობრივმა გაზეთმა ამ დღეებში გამოაცხადა: „ვიწვევთ საზოგადო კრებაზედ იმ უცოლო კაცებს, რომელნიც 21 წელიწადს არიან გადაცილებული. კრებაზედ ლაპარაკი იქმნება იმ განზრახულ კანონის შესახებ, რომლის ძალითაც უცოლოებთ გარდასახადი უნდა დაედოთ.. ვთხოვთ იმათ, ვისაც უკვე გადაწყვეტილი აქვს ცოლის შერთვა, კრებაზედ ფრაკით მოვიდოდნენ, რათა შეგვეძლოს ისინი სხვებისაგან გავარჩიოთ.

***

ამას წინად ამერიკის ქალაქ ცინცინატში ადგილობრივ მანდილოსნებს გაუმართავთ მეტად უცნაური საქველმოქმედო ბაზარი ღარიბების სასარგებლოდ. ამ ბაზრის გამმართველნი ყველანი ლამაზი ქალები იყვნენ. „ბაზარში“ იყიდებოდა მხოლოდ... კოცნა. ვინც ფულს გარდაიხდიდა, იმას შეეძლო ეკოცნა ბაზრის ერთ-ერთ გამმართველ ქალისათვის. ნიხრი წინადვე იყო დადებული: 5 წუთის განმავლობაში გასათხოვარის ქალის კოცნა (რამდენსაც მოასწრობდა) ღირდა 10 ცენტი *), გათხოვილის ქალის კოცნა—15 ცენტი და ახალგაზრდა ქვრივისა—25 ცენტი. ზოგიერთი ახალგაზრდა კაცები თვალებს იხვევდნენ და ისე არჩევდნენ ქალებს. სხვათა შორის ბაზარს დასწრებია ჯონ რეინოლდსიც. ამ რეინოლდსის ცოლი და აგრეთვე სხვა ქალიც, რომელსაც რეინოლდსი გულით [illegible]

*) ცენტი — [illegible] კაპეიკი.

თვალები აუხვევნია იმ იმედით, რომ ჩემი სატრფო თვით მომვარდება და კოცნას დამიწყებსო. მაგრამ დახე მუხანათობას! თვალების ახვევისათანავე რეინოლდსის ცოლი შურდულივით გაქანებულა და ქმარს კისერზედ შემოჰხვევია. რეინოლდს სატრფო ჰგონებია და, აბა რაღა ლაპარაკი უნდა, დროს ტყუილად არ დაჰკარგავდა. მაგრამ, როდესაც ხელსახოცი მოუხსნიათ და თავისი ცოლი დაუნახავს, რეინოლდს საშინელი ბრაზი მოსვლია. დაუწყვია ყვირილი და ერთი ვაივაგლახი. თავისი ფული უკანვე მოუთხოვნია. ბოლოს რომ ველარ დაუწყნარებიათ „მოტყუებული“ ქმარი, პოლიციელებისათვის დაუძახნიათ და იმათვის ჩაუბარებიათ, იქნება თქვენ მოარჯულოთ როგორმეო.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 ივლისი.

**პეტერბურგი.** პეტრე-პავლეს ეკკლესიაში ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის გარდაცვალების მე-20 დღეს გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი. დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე და სხვანი.

**პარიჟი.** ბორეპერმა გამოაქვეყნა თავისს მიერ მოხდენილი გამოძიება. ჩვენება 31 მოწმეს ჩამოართვა. ბევრმა მოწმემ განაცხადა, რომ დრეიფუსს გერმანიასთან ჰქონდა დამოკიდებულებაო.

**პარიჟი.** ლუბე პარიჟში დაბრუნდა. ლუბე არ დაესწრობა წელს აღლუმს ლუარში, მხოლოდ აღლუმის გათავებისას მივა და ჯარს დაათვალიერებს.

18 ივლისი

**ცეტინიე.** დღეს დილით, ტაძარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის სულის მოსახსენებლად; პანაშვიდს დაესწრნენ მთავრის სახლობა, აქ მყოფი უცხო ქვეყნელი უმაღლესი სტუმრები, მინისტრები, მოხელენი და დიპლომატები. შემდეგ ჯარები დაათვალიერეს. დღეს მთავრინა მილიცამ ამალითურთ პირველად გაისეირნა ქალაქში. ხალხი გულმხურვალედ ეგებებოდა.

**ნიუ-იორკი.** ამერიკის გენერალმა დევეიმ უთხრა „New-Iork Herald“-ის ტრიესტელ კორესპონდენტს, რომ ამერიკისათვის საჭიროა დიდი ფლოტი, რათა შებრძოლება შეეძლოს თითოეულ სახელმწიფოს ფლოტთანო. ამის შემდეგო,—განაგრძო მან,—ამერიკას გერმანიასთან მოუხდება ომიო.

**მონაკო.** გუშინ, საღამოს ექვს საათზედ, ახალის შენობის კედელი ჩამოინგრა და ქვეშ მოიტანა 50 მუშა იტალიელი. სამი კალატოზი მოკლულ იქმნა, 11 მძიმედ დაჭრილი ღამე ნანგრევებიდგან ამოიღეს.

**პარიჟი.** „Matin“-ი იუწყება, რომ გამოძიება დიუ პატი-დე-კლამის საქმის გამო მოისპო, რადგანაც არავითარი დანაშაულობა არ აღმოჩნდაო.

**რენნი.** ანტისემიტთა ყრილობა ჩხუბით დამთავრდა. ორი კაცი მსუბუქად დაიჭრა.

19 ივლისი

**პეკინი.** ოფიციალურად აცხადებენ, რომ ჩინეთსა და იაპონიას შორის რაიმე კავშირის შესახებ არავითარი მოლაპარაკება არ არისო. ტოკიოში მისვლა ორივე საგანგებო დესპანისა გამოიწვია სურვილმა ამის შესახებ, რომ გაძლიერდეს ვაჭრობა და განმტკიცდეს მეგობრული დამოკიდებულება ორავე სახელმწიფოს შორისო.

**ჰააგა.** სამშვიდობო კონფერენცია დაიხურა დღეს, უკანასკნელი ოქმი ხელმოწერილ იქმნა ყველა სახელმწიფოს მიერ, კონვენცია სამედიატორო სამართლის შესახებ—16 სახელმწიფოს მიერ, ორივე დანარჩენი, ხმელეთზე და ზღვაში ბრძოლის შესახებ—15 და 17 სახელმწიფოს მიერ. შემდეგ წაკითხულ იქმნა ეპისტოლე ჰოლანდიის დედოფლისა და პაპისა. რუსეთის დელეგატმა წარმოსთქვა გამოსამშვიდობებელი და სამადლობელი სიტყა.

## ნაცნობთა საყურადღებოდ.

15 ამა თვისას, სრულიად განკურნებული ჩემის სასიკვდილო ჭრილობისაგან ექიმის გერრატის გონივრულის მოვლით, გამოვეწერე თოფურიას საავადმყოფოდგან. პატივცემულ „ივერიის“ საშუალებით ვაცნობებ ამას ჩემს მეგობართ და ნაცნობებთ, რომელნიც ხშირად კითხულობდნენ ჩემის ავადმყოფობის მიმდინარეობის ამბავს და მიცხადებდნენ სრულს თანაგრძნობას უბედურის შემთხვევისა გამო. ყველა იმათ უღრმეს მადლობას ვუცხადებ.

თ-დი გ. კ. ჩიჩუა


## განცხადებანი



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—5.—15)


Дозволено цензурою, Тифлисъ 19-го Іюля 1899 г.   სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა   რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.